ხუთი ფედრა: კულტურათშორისი ვარიაციები

(ევრიპიდეს, ლუციუს ანეუს სენეკას, ჟან ბატისტ რასინის, სარა კეინისა და ნინო ხარატიშვილის პიესების შედარებითი ანალიზი)

ინგა ასლანიან

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნებისფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ინგა ასლანიან 15.06.2023

Abstract

In the current work, a comparison is made between Euripides's *Hippolytus,* Seneca's *Phaedra,* Jean-Baptiste Racine's *Phaedra,* Sarah Kane's *Phaedra's love* and Nino Kharatishvili's *Phaedra in flames'* constellation and configuration of dramatic figures, time and space, and the actantial model, in order to analyze peculiarity of intercultural variations of the prototypical antique plot.

The analysis showed that the five receptions of the myth about Phaedra depict the norms and traditions of the epoch they were written in. Moreover, in antiquity, there was less free will and less opportunity to make decisions independently for an individual. This pattern has dramatically changed over the centuries. In the XXI century, emancipated individuals are presented in front of a reader/spectator. These individuals are not limited by faith, or by public opinion. But the crowd may become a physical punisher.

As a result of an analysis a constant pattern is highlighted – innocent dramatic figures always become victims of the immoral dramatic figures' gossip and plots.

Keywords: Phaedra, myth, constellation, configuration, actants, time-space, intercultural.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში ერთმანეთთანაა შედარებული ევრიპიდეს *იპოლიტი,* სენეკას *ფედრა ან იპოლიტი,* ჟან ბატისტ რასინის *ფედრა,* სარა კეინის *ფედრას სიყვარული* და ნინო ხარატიშვილის *ფედრა ალმოდებული* მოქმედ პირთა კონსტელაციის, კონფიგურაციის, დრო-სივრცისა და აქტანტების მოდელის მხრივ მათში პროტოტიპული ანტიკური სიუჟეტის კულტურათშორის ვარიაციათა თავისებურებების გასაანალიზებლად.

ანალიზმა აჩვენა, რომ ფედრას მითის ხუთგვარი რეცეფცია ასახავს იმ ეპოქის ნორმებსა და ტრადიციებს, რომელშიც დაიწერა. რომ ანტიკურ ეპოქაში ინდივიდის თავისუფალი ნება და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა ნაკლებად არსებობს. საუკუნეთა სვლასთან მოცემულობა მკვეთრად იცვლება. XXI საუკუნეში მკითველის/მაყურებლის წინაშე ემანსიპირებული ინდივიდები წარმოსდგებიან, რომლთაც აღარც სარწმუნოება ზღუდავს, აღარც საზოგადოების აზრი. თუმცა ბრბო შესაძლოა იქცეს ფიზიკურ დამსჯელად.

ანალიზის შედეგად წარმოჩნდა საუკუნეთა მანძილზე უცვლელი თემა — ზნედაცემული მოქმედი პირების მონაჭორსა და ინტრიგებს ყოველთვის უდანაშაულო მოქმედი პირები ემსხვერპლებიან.

საძიებო სიტყვები: ფედრა, მითი, კონსტელაცია, კონფიგურაცია, აქტანტები, დრო-სივრცე, კულტურათშორისი